სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	**შორეული აღმოსავლეთი. იაპონისტიკა** **Far East Studies. Japanese Studies**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	იაპონისტიკის ბაკალავრი Bachelor of Japanese Studies 0231.1.22
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	საბაკალავრო პროგრამის კრედიტების საერთო რაოდენობა - 240 კრედიტი (**ECTS**), მათ შორის: 1. სპეციალობის სავალდებულო კურსები - 85 კრედიტი (**ECTS);** 2. სპეციალობის არჩევითი კურსები - 35 კრედიტი (**ECTS);** 3. ჰუმანიტარული კომპეტენციის საბაზო სავალდებულო კურსები - 20 კრედიტი (**ECTS);** 4. ჰუმანიტარული კომპეტენციის საბაზო არჩევითი კურსები (შესავალი კურსები) – 10 კრედიტი (**ECTS);** 5. ჰუმანიტარული კომპეტენციის საბაზო არჩევითი კურსები (ევროპული ენა) – 10 კრედიტი (**ECTS);** 6. ჰუმანიტარული კომპეტენციის საბაზისო არჩევითი კურსები (კლასიკური / აღმოსავლური ენა) - 10 კრედიტი (**ECTS);** 7. თავისუფალი კრედიტები - 10 კრედიტი (**ECTS)** 8. დამატებითი პროგრამა - 60 კრედიტი (**ECTS).** ირანისტიკის საბაკალავრო პროგრამა **8 სემესტრს** მოიცავს.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სწავლების ენა	**პროგრამა ხორციელდება ქართულ ენაზე**
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები /კოორდინატორი	ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი, ნანა გელაშვილი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	ერთიანი ეროვნული გამოცდები
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	**შორეული აღმოსავლეთი. იაპონისტიკის საბაკალავრო პროგრამის** მიზნებია: კურსდამთავრებული უზრუნველყოს მაღალი სტანდარტების შესაბამისი საბაკალავრო დონის განათლებით და აღჭურვოს იგი პროფესიული პასუხისმგებლობით, რაც გულისხმობს 1. შორეული აღმოსავლეთის რეგიონის მნიშვნელოვანი ენის – იაპონურის კომპეტენტური მომხმარებლის დონეზე ფლობას, რათა იაპონისტიკის ბაკალავრმა შეძლოს. იაპონურ ენაზე წერა, საუბარი, თარგმნა, ინფორმაციის მოძიება-გადამუშავება; 2. იაპონიის ისეთი სოციოკულტურული ასპექტების ცოდნას, როგორიცაა ქვეყნის ისტორია, კულტურა, ლიტერატურა, საზოგადოება, საერთაშორისო ურთიერთობები და სხვა, რათა პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულმაშეძლოს: იაპონიისა და შორეული აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების ისტორიულ-კულტურული საკვანძო საკითხებისა და საზოგადოების განვითარების უახლესი პრობლემატიკის მიმოხილვა; 3. შორეული აღმოსავლეთის რეგიონში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებში იაპონიის როლის განსაზღვრა-გაანალიზება; 4. იაპონური ლიტერატურის განვითარების ისტორიის გაანალიზება; 5. შორეულ აღმოსავლეთში გავრცელებული ფილოსოფიურ-რელიგიური მოძღვრებების იდენტიფიცირება და შედარებითი ანალიზი.

	აღნიშნული მიზნები სრულიად შეესაბამება საბაკალავრო საფეხურს და აძლევს სტუდენტს ისეთ ფართო დარგობრივ ცოდნას როგორც იაპონისტიკის, ასევე ზოგადად, აღმოსავლეთმცოდნეობისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სფეროში, სძენს მას ისეთ ზოგად ტრანსფერულ უნარებს, რომ ეს მიღებული ცოდნა და უნარები უზრუნველყოფდეს სტუდენტის დასაქმებას როგორც სასპეციალიზაციო, ისე მომიჯნავე სფეროებში.
სწავლის შედეგები	**შორეული აღმოსავლეთი. იაპონისტიკის საბაკალავრო პროგრამის** მიზნების მისაღწევად გამოყენებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტები უზრუნველყოფენ შემდეგი შედეგების მიღწევას:
ა) ცოდნა და გაცნობიერება	პროგრამის კურსდამთავრებული **1.** განსაზღვრავს იაპონისტიკის დარგის მნიშვნელობას და მსჯელობს დარგის განვითარების სხვადასხვა მიმართულებაზე; **2.** აღწერს იაპონურ ენის ლინგვისტურ მახასიათებლებს და ნორმებს; ავლენს იაპონური ენის ცოდნას კომპეტენტური მომხმარებლის დონეზე; **3.** მიმოიხილავს შორეული აღმოსავლეთის რეგიონის ისტორიული, კულტურული, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითად ეტაპებს და საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენებს; **4.** აღწერს და აანალიზებს შორეულ აღმოსავლეთში გავრცელებული ფილოსოფიურ-რელიგიური მოძღვრებების გავლენას სოციალურ-კულტურულ ცხოვრებაზე.
ბ) უნარები	**5.** ახდენს დარგობრივი პრობლემების, აქტუალური საკითხების იდენტიფიცირებას; **6.** მოიძიებს და იყენებს ქართულ და/ან იაპონურ ენებზე არსებულ წერილობით, ზეპირ და სხვა სახის საინფორმაციო წყაროებს, ლიტერატურას, შესაბამის მულტიმედიურ და საბიბლიოთეკო რესურსებს; **7.** ამყარებს კომუნიკაციას იაპონურ ენაზე, კითხულობს უცხო

	ტექსტს, გააჩნია წერითი და ზეპირმეტყველების უნარი ენის კომპეტენტური მომხმარებლის დონეზე; **8.** აანალიზებს იაპონური საზოგადოების ისტორიულ-კულტურული განვითარების კანონზომიერებებს და სპეციფიკას საუკუნეთა სპექტრში; **9.** მონაწილეობს დარგობრივ დისკუსიაში, მსჯელობს არგუმენტირებულად და თანმიმდევრულად ქართულ და/ან იაპონურ ენებზე; **10.** განსაზღვრავს, განასხვავებს და აფასებს სხვადასხვა კულტურათა შორის არსებულ მსგავსება-განსხვავებებს, ქვეყნებს შორის ისტორიულ-კულტურულ და თანამედროვე მიმართებებს.
გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	**11.** ზრუნავს თავის აკადემიურ და პროფესიულ განვითარებაზე, ამჟღავნებს დამოუკიდებლად სწავლის, თვითორგანიზებისა და დროის მართვის უნარს; **12.** პატივს სცემს ეროვნულ და უცხოურ ისტორიულ-კულტურულ-რელიგიურ ღირებულებებს; 13. იცავს პროფესიული საქმიანობისას აკადემიური ეთიკისა და ქცევით ნორმებს, ახდენს აკადემიური კეთილსინდისიერების დემონსტრირებას. აღნიშნული შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან. ეს შედეგები სრულიად შეესაბამება ენის დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს, შედეგები შესაბამისია აგრეთვე ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეექვსე დონის კვალიფიკაციის სირთულისა.
სწავლება-სწავლის მეთოდები	● ლექცია (ზეპირსიტყვიერი მეთოდი სტუდენტებთან უშუალო და თანამონაწილეობითი კონტაქტით); ●დამოუკიდებელი მუშაობა ●პრაქტიკული მეცადინეობა

	● ვერბალური და პრაქტიკული მეთოდები; ● აუდიო-ვიდეო მასალების გამოყენება; ● სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება; ●აქტიური სწავლა; ● როლური და სიტუაციური თამაშები; ● წყვილში ან გუნდური მუშაობა; ●საშინაო დავალება; ● დისკუსია-დებატები ●სემინარი ●შუალედური და ფინალური შეფასება
შეფასების სისტემა	პროგრამით გათვალისწინებულ დისციპლინებში გამოიყენება შეფასების შემდეგი სისტემა: ა) სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის შეფასება (სემესტრული აქტივობა); ბ) შუალედური გამოცდა: 1. წერითი დავალება 2. პრეზენტაცია; გ) სემესტრის დასკვნითი გამოცდა (წერითი / კომბინირებული). **შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:** ა) (A) ფრიადი –შეფასების 91-100 ქულა; ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

	ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა; არსებობს ორი უარყოფითი შეფასება: ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება; ზ) (F) ჩაიჭრა[1] – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება სასწავლო კურსის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, ფორმდება F -0 ქულა. მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა. **გამოცდაზე დაშვების წინაპირობა:** სტუდენტს სემესტრის განმავლობაში დაგროვილი უნდა ჰქონდეს <u>არანაკლებ 21 ქულა.</u> გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი აგროვებს დასკვნითი გამოცდის 50%.
დასაქმების სფეროები	სტუდენტი შეიძლება დასაქმდეს როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში. დასაქმების ძირითად სფეროებად მოიაზრება საგარეო საქმეთა სამინისტრო, იაპონიის საელჩო საქართველოში, საქართველოს საელჩო იაპონიაში,არა-სამთავრობო ორგანიზაციები,სავაჭრო კომპანიები, საგანმანათლებლო

[1] სემესტრის საბოლოო გამოცდაზე ჩაჭრილი სტუდენტი, სხვა კომპონენტებში მისი მიღწევების შეფასების მიუხედავად, ითვლება ჩაჭრილად.

	დაწესებულებები, ტურიზმის ეროვნული სააგენტო,ტურისტული კომპანიები, სასწავლო-სამეცნიერო ცენტრები.
სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის	სწავლის წლიური საფასური საქართველოს მოქალაქე სტუდენტებისთვის შეადგენს 2250 ლარს.
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	პროგრამაში დასაქმებული პერსონალი არის მაღალკვალიფიციური. ყველას თავის სფეროში წლების განმავლობაში გარკვეული გამოცდილება აქვს დაგროვილი. ნანა გელაშვილი- ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, პროგრამის ხელმღვანელი თათია მემარნიშვილი- თსუს ენების ცენტრის მასწავლებელი მარინე ჯიბლაძე - ფილოლოგიის დოქტორი, თსუ მოწვეული ლექტორი სოფიო გუგუნავა- სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, თსუ მოწვეული ლექტორი. მარინე ღუდუშაური- ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, თსუ მოწვეული ლექტორი იასუჰირო კოჯიმა - ტოკიოს უცხო ენათა ინსტიტუტი, მთარგმნელი, თსუ მოწვეული ლექტორი ელენე მეძმარიაშვილი - ისტ. დოქტორი, ასოცირებული პროფესორი. ნანი გელოვანი - პროფესორი; მირინ მახარაძე - ასოცირებული პროფესორი; რევაზ გაჩეჩილაძე - პროფესორი; ირინე კოშორიძე - ასოც. პროფესორი; ქეთევან ხუციშვილი - პროფესორი თსუ-ს მე-5 კორპუსში გვაქვს ერთი აუდიტორია-კაბინეტი (#115) და ერთი ცენტრი (ოთახი # 306). #306 ტექნიკურად სრულად აღჭურვილი აუდიტორიაა. 2010 წლის მარტში იაპონიის

	სამთავრობო გრანტის ფარგლებში და საქართველოში იაპონიის საელჩოს თანადგომით, თსუ-ში ჩვენი მიმართულებისათვის „იაპონური ენისა და კულტურის ცენტრი“ დაფუძნდა, რომელიც აღჭურვილ იქნა უახლესი ტექნიკური საშუალებებით, სასწავლო, სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურით (იაპონურ, ინგლისურ, რუსულ ენებზე), პერიოდული გამოცემებით, აუდიო-ვიდეო მასალით (ოთახი 306). კერძოდ, ცენტრში განთავსებულია: 2 კომპიუტერი, პროექტორი, ტელევიზორი, DVD, მონიტორი, ტექნიკურად აღჭურვილი 10 მერხი. აღნიშნულ კაბინეტ-აუდიტორიებში არსებული კომფორტული გარემო და რესურსები ხელს უწყობს სტუდენტების და ლექტორების მოტივაციის ამაღლებას და სასწავლო საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას.
პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება თსუ-ს ჰუმ-ანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სამეცნიერო და საგანმანთლებლო ღონისძიებების ჩატარებას.
დამატებითი ინფორმაცია **(საჭიროების შემთხვევაში)**	